ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება
ქ. მარტვილი

ბრძანება:**ბ58. 58242624**

თარიღი:**18/09/2024**

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ს.კ: 41.12.31.222 მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 ნაგებობის პრივატიზების მიზნით განმეორებით ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი ნაწილის, 119-ე მუხლის მე-11 ნაწილის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების მე-13 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს განმეორებით ელექტრონული აუქციონი არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ს.კ: 41.12.31.222 მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 ნაგებობის პრივატიზების მიზნით, შეცვლილი საწყისი საპრივატიზებო საფასურით

2. ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შემცირდეს პირვანდელი საპრივატიზებო საფასურის (33 100 ლარის) 20 %-ის ოდენობით, კერძოდ: საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 26 480 ლარით „ბე“ 7944 ლარით ,,ბიჯი“ 300 ლარით

3. განისაზღვროს ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი, კერძოდ: აუქციონი დაიწყოს 2024 წლის 25 სექტემბერს 12 საათზე და დასრულდეს 2024 წლის 02 ოქტომბერს 16.00 საათზე

4. ბრძანების შესრულება დაევალოს მარტვილის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვასთან დაკავშირებით შექმნილ კომისიას და მანვე უზრუნველყოს სააუქციონო განცხადების გამოქვეყნება ვებ.გვერდზე www.eauction.ge-ზე

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ N 247) მისი www.eauction.ge-ზე, გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში

თორნიკე ჯანაშია

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი